№ 3 იანვარი 6, ოთხშაბათი

1888

იანვარი 6, ოთხშაბათი № 3

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888

დღესასწაულის გამო შემდეგი №-რი გამოვა 8-ს იანვარს.

## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ), გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (ასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)
**ქუთაისში**: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.
**ხონში**: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.
**ბათუმში**: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 5 იანვარი

ლორდ ჩერჩილის მოსვლა რუსეთში, ჩვენის ფიქრით, უმიზეზო არ არის, თუმცა ევროპიის ჟურნალ-გაზეთობა-კი ირწმუნება, რომ ლორდი ჩერჩილი თავისით წავიდა რუსეთშია და არავითარი დიპლომატიური მინდობილობა არა ჰქონიაო. ჩვენა გვგონია, რომ ლორდ ჩერჩილის მისვლა პირდაპირი ნიშანია ინგლისისა და რუსეთის დაახლოებისა იმ ზომამდე მაინც რომ მოსარიგებელს ლაპარაკს გზა გაეხსნას.

მარტო ჩვენ არა ვფიქრობთ ესე. გაზეთი „Indèpendance Belge“-ი ამბობს, რომ შესაძლოა რუსეთის თავრობამ ეს შემთხვევა გამოიყენოს და შესაფერი ღონის-ძიება იხმაროს, რომ ინგლისი გადაუყენოს სამთა კავშირსაო. მეორე მხრით, ისიც საფიქრებელიაო, რომ ლორდ ჩერჩილის წასვლა რუსეთში ინგლისმა მოიწადინა იმისთვის, რომ ორში ერთი ამოირჩიოს: ან მიუდგეს სამთა კავშირსა, ან რუსეთსა და საფრანგეთსაო, იმისდა მიხედვით, რომელი მხარე უფრო სასარგებლოდ ეჩვენება ინგლისსაო. ვინ იცის, იქნება ინგლისმა უკვე იცის რას დაჰპირებია გერმანიაო და ეხლა-კი ჰსურს შეიტყოს რას დაჰპირდება რუსეთი, თუ ვინიცობაა მას მიემხრობა ინგლისიო.

ინგლისის და რუსეთის ერთმანეთთან დაახლოვება დიდი მუქარაა ოსმალეთისათვის. რუსეთი ძალიან ემდურება ოსმალეთს, რადგანაც ბოლგარიის საქმეში ოსმალეთი მეტად ორჭოფად იქცევა და ვინ იცის — ოსმალეთს რომ რუსეთთან ერთად თავი გამოედო და გულ-ახდილად ემოქმედნა, — იქნება ბოლგარიის საქმე ასე არ აწეწილიყო და ამ აწეწვას ბოლო მოჰღებოდა. ინგლისიც გულამღვრეულია ოსმალეთზედ ამ ბოლოს ხანებში. ჯერ იმიტომ-რომ ეგვიპტის კონვენცია ოსმალეთმა თითქმის თავზე დაახია ინგლისსა და მერე სტამბოლში რაღაც ქსელი გააბა, რომ დღევანდელი ჰედიფი ეგვიპტისა ტეფიკ-ფაშა, კაცი ინგლისისაგან დაყენებული და ინგლისის საამური, ტახტიდამ გადმოაბძანოს და მის მაგიერ წინანდელი, ინგლისისაგან გადაყენებული ჰედიფი ისმაილ-ფაშა, მამა ტაფიკ-ფაშისა, დასვას. ამ ქსელის გაბმისათვის სულთანმა ისმაილ-ფაშას ნება მისცა სტამბოლში დაბინავებულიყო იმისდა მიუხედავად, რომ ინგლისი დიდს უარზედ იდგა და უთვლიდა სულთანს—მაგის ნება არ მისცეო. ეხლა ვინ იცის, — იქნება ამ ორ გზით გულ-ნატკენმა ინგლისმა ოსმალოს ჯავრის ამოყრა მოიწადინა და ამისათვის სხვას უკეთეს რას იპოვიდა ევროპაში, თუ არ რუსეთთან დაახლოვებას. ესეც ერთი მიზეზია, რომ ინგლისს რუსეთში ჩერჩილისავით სანდო კაცი გამოეგზავნა მოსალაპარაკებლად.

საფრანგეთსა და ინგლის შორის დღეს არც ერთი იმისთანა თვალ-საჩინო მიზეზი არ არის, რომ დაახლოვებას დაუშალოს. ერთი სუეზის არხის საქმე იყო, რომელმაც საკმაოდ დიდი შუღლი ჩამოაგდო საფრანგეთსა და ინგლის შორის. ჯერ კიდევ 1885 წ. პარიჟში გამართეს ამ ორ სახელმწიფოთა ლაპარაკი მოსარიგებლად, მაგრამ ვერ მოჰშველდნენ. ამ საგანზედ ლაპარაკი დაიწყეს ხელ-ახლად 1887 წლის იანვარში და 21 ოქტომბერს 1887 წლისას გაათავეს მორიგებითა ისე, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. ჰებრიდისა და ტაიტის კუნძულებზედ ჰქონდათ კიდევ ინგლისსა და საფრანგეთს ერთმანერთზედ სამდურავი და ესეც მორიგებით და მშვიდობიანად გათავეს 16-ს ნოემბერს 1887 წლისას და ეხლა ეს ორნი სახელმწიფონი ერთმანერთის კეთილის მსურველნი უფრო არიან, ვიდრე მტრობისა. გარდა ამისა, ესეც უნდა სახეში ვიქონიოთ, რომ გაძლიერებამ გერმანიისამ ამოდენა ჯარების შენახვა მოიტანა მთელს ევროპაში და გერმანიის ბძანებლობა მეტად მძიმე ტვირთად დაედვა ყველას. ამას ყველანი ჰგრძნობენ და ნამეტნავად ინგლისი, რომელსაც კარგა ხანია ჭკვაში არ მოსდის გერმანიის ფართფაშობა ევროპაში.

ყველა ზემოხსენებული რომ ერთად შევკრიბოთ, ადვილად მივაგნებთ — რა ატოკებს დღევანდელის პოლიტიკის სასწორსა ხან იქით და ხან აქედ. ჩვენის ფიქრით, სასწორის უღლის მაქანებელი დღეს ინგლისია, რომელმაც კარგად იცის თავისის თავის ქადრი და ამიტომაც ჯერ არც ერთს მხარეს მისდგომია და არც მეორეს, ვნახოთ სად უფრო სამჯობინარი იქმნებაო. რომ დღეს ინგლისი უფრო იმ მხრივ არის მიდრეკილი, რა მხარეც თ. ბისმარკს არ ემხრობა და ჭკვაში არ მოსდის, — ეს ჯერ იმითი მტკიცდება, რომ თ. ბისმარკი თვითონ ეკურკურება იმ მხარეს — იქნება მეც თვითონ გავხდე რასმეო და მერე იმით, რომ ჟურნალ-გაზეთობა გერმანიისა რაც ძალი და ღონე აქვს იჭაჭება და ავად იხსენიებს ინგლისსა ლორდ-ჩერჩილის რუსეთში წასვლის გამო, თითქო ალღო აღებული აქვთ, რომ ინგლისი შორს არ არის მიუდგეს რუსეთსა და საფრანგეთსაო.

—

# ფელეტონი

## ოთარაანთ ქვრივი

### IV*)

განძი და ანდერძი

ყველაზედ უძვირფასესი განძი სხვა დარჩა ოთარაანთ ქვრივს თავის ქმრისაგან. ქვრივს-კი მართლა უძვირფასესად მიაჩნდა და სხვისა-კი არ ვიცით. ეს განძი თოფ-იარაღი იყო. მისი ქმარი, დიდი გამრჯელი, მოამაგე, დიდი მუშა-კაცი, გათქმული მონადირეც ყოფილა. სახლში რომ შესულიყავით და კერიდამ მარჯვენა ტახტის ზემოთ კიდლისათვის შეგეხედნათ, ჰნახავდით ბუდეში ჩამოკიდებულს კარგად მოზდილ თოფს, ხმალს თავისის ყაწიმებითა, ხანჯალს, დამბაჩას, სასწრაფოს და საპირის-წამლეს.

კვირა არ გაივლიდა, რომ ოთარაანთ ქვრივს არ ჩამოელო ეს იარაღი და გულ-დადებით არ გაეწმინდა. როცა ამას შეუდგებოდა, გეგონებოდათ ჰღოცულობსო, ისე გულდასმით, კრძალვით და სასოებით დაუწყებდა ხოლმე წმენდასა. რაც ქმარი მოჰკვდომოდა, მას აქედ სულ ასე ექცეოდა ამ იარაღსა. სულთ-მობრძავი რომ ყოფილიყო, მაინც ერთს კვირას ისე არ გაატარებდა, რომ არ დაეწმინდა, არ დაეკრიალებინა, ცხვრის დუმით არ გაეპოხა და ისე არ დაეკიდნა თავის ადგილას. ხოლო ერთხელაც ისე არ გაუწმენდა, რომ თვალში ცრემლი არ მოჰრეოდეს, გული არ ამოსჯდომოდეს და არ ატირებულიყოს.

— ვაი, ვაი მე უბედურსა!.. ჩაიკრავდა ხოლმე გულში ხელს: სადედა-ბეროდღა გახდა ეს ვაჟკაცის იარაღი. მოგიკვდათ, თქვე საწყლებო, კაი პატრონი!.. უიმე!.. განა მარტო თქვენ მოგიკვდათ!.. ხომ მეც მომიკვდა, მეც!.. წაიღო შავმა მიწამ ჩემი თევდორე... წამოგექცა, ოჯახო, დედა-ბოძი, დაგიმიწდათ, თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაჟკაცი... გატყდა შუაზედ ჩვენის წუთი-სოფლის უღელიცა, მოგიკვდა, ოთარაანთ ქვრივო, ტოლ-დასადები მეუღლე, დარჩი ცალად... ვაიმე უშენოსა!.. ყვირილობის თთვეში რომ ირემს მომაყენებდა ურმით!.. იმისი ზარიანი ხმა რომ ყურს მომხვდებოდა, გული გადამიტრიალდებოდა სიხარულით. ქორწილში და ლხინიც სულ მღერით და გალობით მოდიოდა. კაცი იყო, კაცი!.. ვენაცვალე იმის ტრფიალს!.. იმისი მუშაობა რომ ენახა ვისმეს, — თუნდა მარტო ყოფილიყო — ქორწილი ეგონებოდა. ქვასაც-კი გაალღვიდებდა და ხელს გაანძრევინებდა. ვენაცვალე იმის სახელს!.. რო კვდებოდა, მაშინაც-კი არ შეუკრავს წარბი, დამიძახა და მითხრა:

— «რა გატირებს, ადამიანო! განა შენ-კი შეჰრჩები ამ წუთი-სოფელსაო. ყველას ბოლო ეს არის, ტირილით ჩაშობი სიცილით უნდა კვდებოდესო. საქაოს სტუმარი ვიყავ და ეხლა შინ მივდივარო. რა გატირებსო.»

— რა ვქნა მე უშენომა? შევჩივლე მე.

— «როგორ თუ რა ჰქნა!.. გაისარჯე და ირჩინე თავიო. მე-კი თითებიდამ ზეთი და ერბო მწვეთდა თუ! ვირჯებოდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდიო. ქვეყანა ღონიერია, ნუ გეშისო. ოღონდ ჭირს ნუ გაუტყდები, ნუ გაელახვინებიო... ე ჩემ პატარა გიორგის უპატრონეო, არ გამიღარიბო, არაფის დამიჩაგვრინო, არაფის არ შემინატვრინოო! გაიზარდოს და მერე თითონ იცის. თუ იქნება თავისით იყოს, თავის მარჯვენით კაცობდესო. მამისეული თოფ-იარაღი შეუნახე, გამოადგება... თოფი ხაზინიანია-გაუფრთხილდეს, მხარში ცემა იცის. შორს მანძილზედ კარგად მიდის, ნიშანი-კი ცოტა მაღლა დაუჭიროს... ეი... მაგის ტყვიის ზუზუნი ერთ რათმეთა ჰღირს!.. ეჰ, რა ვუთხრა ამ წუთი-სოფელს!.. არ დამცალდაო... შენც მენანები, მაგრამ ეგ უფრო მენანება, ბალღია უსუსური, უმწეო. ეჰ, ნეტავი-კი ეგ დავაჟკაცებული მენახა და!.. მერმე თუნდა ურმის თვალზედ გავცმოდიო... ეჰ, რაც არის, არის... ეშმაკის კერძად არ გამხადო, მკვდარს დამიურვე, მიპატრონეო».

— ამის მერმედ ბევრი აღარა დასცალდა-რა. სთქვა ეს თუ არა, გადაბრუნდა კედლისაკენ, ერთი ამოიკვნესა, ჯიგარი თან ამოაყოლა, «მივდივარო» მითხრა და მიაბარა ღმერთს ალალი სული. ვაი შენს დამკარგავს, ჩემო კარგო თევდორე!..

ყოველს ამას მოიგონებდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი, კალთით მოიწურავდა თვალებიდამ ცრემლს და მინამ თოფ-იარაღს კრიალს არ დააწყებინებდა, არ მოეშვებოდა არც წმენდას და არც ტირილსა. რა თქმა უნდა, რომ ამ ცრემლს არავინ დაანახვებდა, შვილსაც-კი, შვილსაც არ შეამცნევინებდა ხოლმე.

ქმრის ანდერძს არ უღალატა. ოჯახიც შეინახა, სარჩო-საბადებელსაც თუ არ მოუმატა, არა დააკლორა, იარაღსაც კარგად უვლიდა და მკვდარსაც უურვებდა იმით, რომ ყოველ კვირას კორკოტსა და წანდილს ჰხარშავდა იმის სულის საცხონებლად და ყოველ წლივ აწირვინებდა.

შვილის მოვლას ხომ ზედ შეალია თავისი ყმაწვილ-ქალობა. ოც-და-ოთხის წლისა ძლივ იქნებოდა, როცა დაქვრივდა და ერთის წლის შვილი დარჩა. ის დღეა და ეს დღე, ჩაიცვა ლურჯი შილის პერანგი, შავი კაბა, თავზედ შავი მანდილი მოიხვია და აი ეს ოცი წელიწადია მხიარული ფერი არ მიუკარებია ტანზედ. თუმცა ბევრი მთხოვნელი ჰყავნდა, ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შესვლას, მაგრამ — თქვენც არ მომიკვდეთ — არ გათხოვდა და არა.

— მერე რა პირით-ღა შევეყარო საიქიოს ჩემს ქმარსაო, ამბობდა: აი უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივს, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა. ვენაცვალე იმის სიყრმეს!.. მამაშენს ვუღალატო!.. შენ გაქცე!.. აი უწინამც დედამიწა გაირღვევა და შიგ ჩამიტანს. გაიზარდე, ჩემო თვალის სინათლევ, და გაახარე აქ დედაშენი და იქ მამაშენი. აი შენ დეგედოს მტლად შენი უბედური დედა!..

იტყოდა ამას და შიგ გულში ჩაიკრავდა ხოლმე თავის პატარა ბუთხუზა ბიჭსა.

### V

დედა-შვილობა

იმ დროს, როცა ჩვენს მოთხრობას ვიწყებთ, ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოც-და-ერთის წლის ბიჭი იყო. ერთი ჯმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დადგა. კუპრსავით შავი და კარგად დაკოკრებული წვერულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანს და მოხდენილად მოყვანილს სახესა. თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო და უფრო უკეთესი იქმნებოდა, რომ მისი დიდრონი ქორული თვალები მრისხანედ არ გამომეტყველებდნენ. თვალთა მეტყველების ჰქქას აძლიერებდა გადაბმული წარბები. ეს მარილიანობას სახისას ბევრს უშლიდა. ამის გამო კაცი თვალს მოარიდებდა პირველ თვალის მოსწრებაზედ. ხოლო რამდენსაც უფრო დააკვირდებოდით მის პირისახეს და თვალებსა, უფრო და უფრო მოგეწონებოდათ გიორგი. იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა-კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი. ტანადაც ერთი ბრგე კაცი იყო, მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩასხმული.

კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზედ ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და და სილამაზე აქვს.

ბაზარში რომ გაივლიდა, იტყოდნენ ხოლმე: ერთი დოინჯის შემოყრაღა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადი-შვილიო.

*) იხ. „ივერია“ № 2.

# ახალი ამბავი

— კავკასიის მთავარ-მართებელმა 1 იანვარს დეპეშით მიულოცა ახალი წელიწადი მათს იმპერატორებითს უდიდებულესობათა, ხელმწიფე მემკვიდრე ცესარევიჩს და დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს. გენერალ-ადიუტანტი თავადი დონდუკოვ-კარსაკოვი გაბედნიერდა მიღებით საპასუხო დეპეშისა შემდეგის შინაარსით:

,,გმადლობთ, გულ-კეთილო თავადო: თქვენს, მკვიდრთა და ჯარებთა, რომელნიც თქვენ გაბარიათ, გულ-მხურვალე მოლოცვისათვის ახალის წლისა''.

,,ალექსანდრე'' ,,მარია''.

,,გულით გმადლობთ, თავადო ალექსანდრე მისიელის ძევ, თქვენა და ყველას, ვინც მიიღო მონაწილეობა მოლოცვაში''.

,,ნიკოლოზი''.

,,დიდად გმადლობთ გულ-კეთილ დეპეშისათვის და ყოველივე სიკეთე გისურვებ თქვენთვისა''.

,,მიხეილი''.

მთავარ-მართებლის მიერ გაგზავნილი დეპეშები შემდეგის შინაარსისანი იყო.

ხელმწიფე იმპერატორს:

ახალ წლის დღეს ვბედავ დავემხო წინაშე ფერხთა თქვენის უდიდებულესობისასა და გამოგიცხადოთ უქვეშევრდომელესი გრძნობანი განუსაზღვრელის ერთგულებისა მკვიდრთა და ჯართა, ჩემდამო რწმუნებულის ქვეყნისა და ოლქისა. ვევედრებით ღმერთსა, რათა დაიფაროს მან ჯანმრთელობა თქვენი და მიანიჭოს ბედნიერება სათაყვანებელს მონარქს სადიდებლად რუსეთისა. გამაბედნიერეთ მეცა, ხელმწიფეო, და მიიღეთ ჩვენგან უქვეშევრდომლესი გულითადი მოლოცვანი.

ხელმწიფე იმპერატრიცას:

მცხოვრებნი კავკასიისა და ჯარები ჩემდამო რწმუნებულის ოლქისა უქვეშევრდომლესად გიძღვნიან მოლოცვას ახალ წლისას და ნატრულობენ ყოველს სიკეთეს თქვენის უდიდებულესობისას და თქვენის სახლობისას. კეთილ ინებეთ, დედოფალო, და მიიღეთ ჩემგანაც უერთგულესი მოლოცვანი და ნატვრა თქვენის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა.

ხელმწიფე მემკვიდრე ცესარევიჩს:

მკვიდრნი კავკასიისანი, ჯარები ოლქისა, თერგის და ყუბანის ყაზახები ჩემთან ერთად ულოცვენ თქვენს იმპერატორობითს უმაღლესობას ახალწელიწადს და გულ-მხურვალედ ნატრობენ თქვენთვის ყოველს სიკეთესა.

ხელმწიფე დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს:

გიძღვნით თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას და დიდს კნიაგინიას მოწიწებით მოლოცვას ახალის წლისას და გულ-წრფელად ვინატრი ყოველს სიკეთეს თქვენთვის ჩემის მხრივ, აგრეთვე მთელის ქვეყნისა და ოლქის ჯარების მხრივა.

გენერალ-ადიუტანტი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი.

(„Кавказъ“)

— ტფილელი გაზეთები გვაცნობებენ, რომ მცხოვრებნი ავჭალის ქუჩისა სთხოვენ ქალაქის გამგეობას, რათა ცხენ-მავალი გააყვანინონ ავჭალის ქუჩაზე ვოგზლიდამ მიხეილის ხიდამდე.

— გაზ. «Тиф. Листокъ»-ი სწერენ, რომ შემახიასთან მცირე მიწისძვრა ყოფილა დეკემბრის დამლევს.

— სამს იანვარს თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი სამსახურის საქმეებისა გამო გაემგზავრა ტფილისიდამ პეტერბურგს.

— ქართულს თეატრში კვირას, 10 იანვარს, წარმოადგენენ ახალს ორ-მოქმედებიან კომედიას თ. რაფ. ერისთავისას, სახელად «ქაჩუა». კომედიაში სახალხო სიმღერებიც იქნება. უმთავრეს როლებს აასრულებენ ბბ-ნი კ. ყიფიანი და ქ-ნი გაბუნიაცაგარლისა. ითამაშებენ აგრეთვე რუსულიდამ გადმოთარგმნილს სცენებს სამს სურათად «ბედნიერი დღე», რომლის წარმოდგენაში მიიღებს მონაწილეობას თითქმის მთელი დასი. «სამშობლოს» წარმოდგენა ჯერ-ჯერობით გადაიდო.

— თიანეთი: რამდენისამე ყმაწვილკაცის თაოსნობით თიანეთის ეკკლესიაში შემოუღიათ ქართული გალობა. კარგი იქნებოდა, რომ ამ მაგალითს სხვაგანაც მიჰბაძონ.

— იქიდამვე: ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების სკოლასა ჰქონია ოთხი დღის მიწა, სადაც ეხლა ბაღის აშენება განუზრახავთ. ამის შესახებ ზოგიერთ კაცებს უკვე მოულაპარაკნიათ თიანეთის მაზრის უფროსთან, რომელიც თავის მხრივ დაჰპირებია აღმოუჩინოს ჯეროვანი დახმარება.

— სოხუმი: ამდენს ავადმყოფს ჯერ ჩვენი ქალაქი არ მოსწრებია. ყოველ დღე საიდამ არ გინდათ მოდიან ფილტვით ავადმყოფები, ყველანი ემადლიერებიან აქაურ ჰავას, მაგრამ ციებამ-კი ჯანი გააგდებინა მათ.

— იქიდამვე: აქნობამდის გვარიანი ამინდები გვედგა, 18 დეკემბრიდამ-კი ცა მოღუშა და წვიმს; თოვლიც მოვიდა სოხუმის ახლო მთებზე.

— ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი ამბავი: 29-ს წარსულის დეკემბრისას, ტფილისში, რკინის გზის საავადმყოფოში, დილის ათ საათზედ, ორი იმერელი მოვიდა, ერთი 30-ს წლის იქნებოდა, მეორე 25-ისა; უფროსი ავადმყოფებთან შევიდა, მეორე-კი გარედ უცდიდა. პირველი საჩქაროდ დაბრუნდა კარში და მიაძახა იქ მოყურადე ამხანაგს: გაიქეც, შაურიანი მარკა მოიტანეო. ბიჭი გაექანა ხმა-ამოუღებლივ ბრძანების ასასრულებლად. ამასობაში ამ ბატონ კაცმა გვთხოვა ჩვენ, ის ბიჭი რომ მობრუნდეს, უთხარით მომიცადოსო. სთქვა ესა, ნაბადი მოისხა და წავიდა. მობრუნებულმა ბიჭმა სალამომდის უცადა, მაგრამ იმისი ბატონი არსაიდგან არ სჩანდა. საწყალმა ტირილით მკითხა, — ბატონო, ის კაცი მერე არ დაგინახავსო? არა, რა იყო-მეთქი!.. — იმან დამღუპა, ბილეთი და ექვსი მანეთი ფარა წამართვაო!.. მე გუშინ მოვედი ქუთაისიდგან, თედო ხურცილავა გახლავარ, აქ სამოჯამაგიროდ ჩამოვედი, ნაცნობი არავინ არა მყავს. დღეს დილას დეპოსთან ვიდექი. მოვიდა ის კაცი და მკითხა, ადგილზე თუ დადგებიო. მე აქ კონდუქტორად ვმსახურობ და შენც გიშოვი რამე სამსახურს, მე თვითონ ქუთაისიდგან ვარ ალექსი ნიკურაძეო. მხოლოდ ცოტა საქმე მაქვს საავადმყოფოში, წამომყევი, იქიდგან დეპოს უფროსთან წაგიყვან და ვთხოვ, რომ სამსახურში მიგიღოსო. ხუთიოდე საქმენი რომ გამოვიარეთ, მითხრა ბილეთი მიჩვენეო. ამოვიღე ბილეთი, რომელშიაც უკანასკნელი სახარჯო ფარები — 6 მან. მქონდა შენახული, და ფარის ამოღება არ მაცალა, ხელიდგან წამართვა, ჩემთან რისა გეშინიაო. წაკითხვის შემდეგ-კი ბილეთიც და ფარებიც თვითონ ჩაიდვა ჯიბეში. დანარჩენი თქვენ თვითონ ნახეთ.

მკითხველები მიხვდებიან, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ეს საწყალი, უპატრონო და უფულო ხამი კაცი.

პოლიციის მეათე განყოფილებაში გავგზავნე გამოსაცხადებლად.

# წერილი გორიდამ

თუმცა გორში ჯერ ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებს არ მოუტანნია, მაგრამ არც ძალიან შორს არის; წელიწადი რა ბევრი ხანია? «ადგომა და წასვლაო»; წელიწადი ისე გაივლის, რომ თვალის მოხამხამებასაც ვერ მოასწრობთ. დიახ, თუმცა ჯერ არ არის დრო, მაგრამ აქა-იქ კუტხი-კუნჭულად ლაპარაკობენ, ხშირად, რასაკვირველია, უფრო მტრაბახობენ, როგორც შეეფერება გორელებს. აქეთი ციებ-ცხელება არ ჩამოვარდება ხოლმე, როგორც ქუთაისში, — მაინც იქ ყველა ნაირი ციებ-ცხელება უკლებელია თურმე — მაგრამ არც არის ჩვენ ჯავლებით. ავი მოგახსენებთ, რომ წელიწადი აქლია-მეთქი, მაგრამ დღეს გორში თითქმის დღის ყარამს შეადგენს არჩევნების ამბავი; ძალიან კბილებს უგრეჯენ აწინდელს გამგეობას; ქალაქის თავად სხვა უნდათ; თუნდაც სხვა არ უნდოდეთ, ეხლანდელი მაინც აღარ დაჯდებაო. ამას წინად ერთი სასაცილო ამბავი, ამბავი სწორედ მტრაბახული, წმინდად გორული, გაავრცელეს აქ. ვითომ გორელმა ზუზუცუნამ ნახა სიზმარი: ქალაქის თავი შეინიშნეს უგრძელესი და ხმოსნები გადამჯდარიყვნენ ჯოხის რაშებზე, თამაშობდნენ და სიცილს მიეზღვნებოდნენო. ეს იმას ნიშნავსო, რომ ეხლანდელს ქალაქის თავს გამგეობა თავის ხმოსნებით თან გაჰყვებაო. ნახა მართლა გორელმა ზუზუცუნამ ამ ნაირი სიზმარი, თუ არა ნახა — ეს რა ჩვენი საქმეა, მხოლოდ ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ასე ლაპარაკობდნენ ქალაქში. მაგრამ დავანებოთ ქალაქის თვითმმართველობაზე ლაპარაკს თავი, მაშინაც გვეყოფა ამაზედ ლაპარაკი, როცა დრო მოვა. ჯერ ეს არ უნდა შევადგინოთ გორელების ყარამს დღისასა.

აბა მაშ რა უნდა იყოს ყარამი დღისა? ის, რომ ერთმა ხმოსანმა სხვა ვილო გლეხი მოატყუა და ერთი დღიურა თავლი აქეს აბაზად დასცინცლა? არა, არც ეს შეადგენს აქაურს ყარამსა დღი-

---

ბევრს სოფლის ხეპატარძლოს ქალებს თვალი დარჩენია გიორგიზედ, ბევრს შევარდნია გული, ბევრს ჩასახვია გულში იმისი სურვილი. გიორგის-კი აინუნშიაც არავინ მოსდიოდა... ტოლ-ამხანაგობას აგრე რიგად არ ეწყობოდა და თუ როგორმე ჩაერევოდა, პირველობას ყველგან ამას უთმობდნენ.

მუშაობაში ხომ მთელს სოფელში ამას სწორი არა ჰყვანდა თითქმის.

— ერთი გიორგის ხელეური მთელ ძნად შეიკვრისო, ამბობდნენ გლეხკაცები: ბარს დაჰკრავს, ბარს, ასე გგონია დედამიწა უნდა შუა-გულამდე ჩაანგრიოსო. მარტო-ხელი ძნის ურემს დაუდებს და შინ მოიტანსო. რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეელევა, მინამ თვითონ საქმეს არ შეჰლევსო. საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გამტანიო.

ბევრს ამისთანაებს ჰლაპარაკობდნენ გიორგიზედ სოფელში და მუშაკაცობის სახელი გავარდნილი ჰქონდა.

— ძალიან ხელ-გამომავალი ბიჭიო, ამბობდა ხოლმე ამისი დედა: დიდი გამრჯელი, მაგრამ ცხონებულსავით გულ-ღია და გულ-მხიარული არ არისო. ის ცხონებული ისე შეეჭიდებოდა საქმეს, თითქო ლრეობასა და ლხინშიაო. ეს-კი იმასავით გულმოდგინეა, დაუზარებელი, მაგრამ ძნელად თუ სადმე წარბს გაიხსნის და საქმეს შესცინებსო, — სულ პირდაღვრემილია და წარბ-შეკრულიო.

თუმცა ასეთი იყო გიორგი, მაგრამ თავისის დედის ყურ-მოჭრილი ყმა იყო თითქმის. ამის უნებურს თავის დღეში არ ინდომებდა. თუმცა კარგა მოზდილი იყო, მაგრამ გიორგი სახლსა და ოჯახში ბატონობას არ შეეცილა დედასა. გვგონია, პირველობას და უფროსობას არც-კი დედა დაუთმობდა, თუმცა შვილი გაგიჟებით უყვარდა. ან რა საჭირო იყო? ვაჟკაცს არ შეეძლო ოჯახის მოვლა ისე, როგორც ოთარაანთ ქვრივსა.

ამათს დედა-შვილობას ბევრი შეჰნატროდა. დედაც შეჰხაროდა თავმოწონებით შვილსა. დედამიწის ზურგზედ იმის მეტი სიხარული და ლხენა სხვა არა ჰქონდა-რა, რომ შვილისათვის ეცქირნა, შვილისათვის ეცოცხლნა. «შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო», იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდამ მომავალს დაინახავდა.

ხომ ესე იყო, მაგრამ თავის დღეში არავისთვის შეუტყობინებია, რომ შვილი ასე გაგიჟებით უყვარს. შვილსაც-კი უმალავდა თავის გულისნადებსა. მარტო ეს-კი იყო, რომ შვილთან ტკბილი ლაპარაკი იცოდა. თავის დღეში არ გაუჯავრდებოდა, თავის დღეში ავის სიტყვით არ მოიხსენებდა, თუმცა ხშირად-კი სტუქსავდა. შვილი, რომელიც სხვისაგან თავზედ ფრინველსაც არ გადიფრენდა და ფეხ-ქვეშ ჭიანჭველას არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა.

— მართალია და იმიტომაო, იტყოდა ხოლმე თავის თავად გიორგი: ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემზედ ახიაო.

არც ერთხელ არ ახსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილუბრალოდ დაეტუქსოს. რაკი ჩაუფიქრდებოდა ტუქსვას, მაშინვე გულდააჯერებდა, რომ დედა მართალია. მართალს შეჩვეულს თვითონაც მართალი უყვარდა. ღალატი და არმობა ისე გააწიწმატებდა ხოლმე, რომ თუ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტეხდა, თავს გამოიდებდა. ჯერ კიდევ ბალღობაში მოუხდა ამისთანა საქმე და აქამდე ახსოვდა. ახსოვდა იმიტომ-რომ დედისაგან ტუქსვას, შერისხვას მოელოდდა, და ამის მაგიერ დედამ-კი მოუწონა.

ერთხელ — ჯერ გიორგი ათი-თორმეტი წლისა ძლივ იქნებოდა — ერთს მოზდილს ბიჭს თავისზედ პატარა ბიჭისათვის ქამრის ლილები დაეტყუვნა. მოტყუებული ბალღი ტირილით იჰაჰებოდა და ის-კი ლილებს არ უბრუნებდა. გიორგიც მაშინ იქ ყოფილიყო და ბალღებთან ჰთამაშობდა თურმე. ყური მოჰკრა ბალღის გულ-ამომჯდარს ტირილსა. შეიტყო მიზეზიცა. დაანება თავი თამაშობას და მივარდა ლილების დამჩემებელს, მიეცი, რას ემართლებიო. იმას ხელი ეკრა მეტიჩარასთვის და გადაექცია. გიორგი წამოხტა იყო და ქვა დაეშინა. მივარდნოდა ურჩი ბიჭი, ხელ-ახლად წაექცია გიორგი და ცემა დაეწყო. მოეშველებოდნენ გიორგის სხვა ამხანაგები, ამოედოთ ქვეშ გიორგის მცემელი, წაერთმიათ ლილები და კარგადაც დაეზილათ. თუმცა პატარა ბალღს დაუბრუნეს წართმეული ლილები, მაგრამ გიორგი-კი კარგად იყო დაბეგვილი. ცხვირი გაეტახნათ და სისხლი სდიოდა. წითელი გულის-პირი სულ ჩამოეხრიწნათ.

ცხვირ-პირ დასისხლიანებული გიორგი, გულის-პირ ჩამოგლეჯილი რომ შინ მიუვიდა დედას, ელდა ეცა.

— ეგ რა არის, შვილო? მაჩვენე ერთი რა გაქვს გატეხილი?

— კუპრაანთ თედომ მცემა.

— რადა?

— თედოს მანასაანთ გოლასათვის ქამრის ლილები წაერთმია. ჩვენ უკანვე გვინდოდა გამოგვერთმია და ჩხუბი მოგვივიდა. მომერია. ის დიდია, მე პატარა.

— მერე წაართვით?

— წავართვით.

— რა უყავით?

— ისევ გოლას მივეცით.

დედას იამა და შუბლზედ წარბი გაეხსნა.

— ნუ გეშინიან, ცხვირი გაგიკაწრავ ცოტად, გაიზდები, დაგავიწყდება, უთხრა შვილს.

— არ დამავიწყდება. დაიცა, ერთი გავიზარდო!.. მე ვუჩვენებ, — ცემა როგორც უნდა.

დედამ შვილი ალერსით ჩაიკრა.

— სულ ცხონებული მამაა, ცხონებული მამა, გაიხარა დედამ: ურ შენ-კი გენაცვალოს დედა შენი, ჩემო ქებავ და დიდებავ!

ეს გულში სთქვა და გულშივე დაიმარხა. შვილს ცხადლივ არა უთხრა რა. ხოლო ცხვირ-პირი რომ დაჰბანა და მოალამაზა, ეს დაატანა:

— აი, ჩემო კარგო, ეხლა უფრო ლამაზი ხარ და!.. წადი, შვილო, ითამაშე, ეხლა უფრო მოგიხდება. ჰტიროდა განა გოლა?

— მაშ?

— გაუხარდა ლილები?

— მაშინვე დაჩუმდა, აღარა ჰტიროდა.

პატარა გიორგი გამოჰწკრიალდა თავის ტოლ-ამხანაგებისაკენ სათამაშოდ.

დედამ უყურა, უყურა გამალებულს შვილსა და როცა თვალთაგან მიეფარა, სთქვა:

— უი შენ-კი გენაცვალე! მამაც კარგი გყვანდა და არც შვილი იქნები უარესიო.

## VI

გიჟია, თუ რა?

ეს ხასიათი დასჩემდა გიორგისა. დედისავით, — თავისი იყო, თუ სხვისა, — თუ ცუდი რამ იყო, გამოექომაგებოდა. ბევრს ამისათვის არ მოსწონდა გიორგი. კაცო რა უნდა, სხვის საქმეში რად ერევაო?» არა ერთი და ორი იქნება ... სოფელში. ამ ხასიათის ბევრი ხიფათი შეამთხვია, მაგრამ არც თვითონ იშლიდა, არც დედა უშლიდა. ამას წინად — სულ ორი კვირა არ იქნება — კინაღამ სოფლის სასამართლომ ყოპურში არ დაამწყვდია. ერთი უცნაური და დაუჯერებელი ამბავი ჩაიდინა.

გიორგი ტყეში ყოფილიყო ჰიგვის საჭრელად. ომარაანთ მოჯამაგირე ენახა ტყეში. თურმე ურემი გამოუტანებიათ ტყეში შეშისათვის და ის-კი ჩრდილში წამოწოლილიყო და ლაზათიანად ჰხვრინავდა. ეს კიდევ არაფერი. კამეჩები წნელით გამოება ურემზე. საცოდავი პირუტყვები იქავ ურმის თავთან ეყარნენ და ზარმაცად იცოხნებოდნენ უილაჯობით.

გიორგი თურმე ზედ მიადგა მოჯამაგირეს, ტყიდამ მოდენილი. ფეხი წაჰკრა გასაღვიძებლად.

— ადე, ძმობილო, აუშვი კამეჩები, ცოდონი არიან.

— შენ რა ჩემი ფეხები გინდა,

სასა. რა გასაკვირველია ამ ოხერს ჩვენ დროში ვისმე ცარცვა-გლეჯა, მოტყუება, მტაცებლობა და სხვა ათასი ამ გვარი ცუდკაცობა. ან რა მოეთხოვება იმ უბედურს ხმოსანს ამაზე მეტი. რაც ითესება, ის იმკება, ნათქვამია. რაც ყოფილა ხმოსანი, იგივე; არც მეტი, არც ნაკლები.

და აბა მაშ რა არის თქვენი გარამი დღისა? იკითხავს გაოცებით მკითხველი. დიდი, ძალიან დიდი! ისა, ბატონებო, რომ ერთის თვის დამმობილ-დამეგობრებულნი ქართველთა ახალი დრუჟინა და გორის საზოგადოება, ანუ უკეთ ვთქვათ, გორის საზოგადო «სობრანიე», ადრევ «კრუჟოკად» წოდებული, დღეს გაიყარნენ. აი ეს არის გორული დღის გარამი! ამაზე ლაპარაკობს დღეს დიდი და პატარა, თავადი თუ გლეხი, ქართველი თუ სომეხი, თუ რუსი. სწორედ აირია მონასტერი და ის იყო.—მიზეზი ამ გაყრისა ისეთი მცირე, ისეთი უსაფუძვლოა, რომ ერთს ქოთილადაც არა ღირს, მაგრამ კიდეც აქ არის საქმე, რომ მცირე მიზეზმა, რომელიც ერთს ქოთილადაც არა ღირს, ამოდენა დავიდარაბა გამოიწვია, ახალი მმობილები გაჰყარა. რძალ-დედამთილი რომ ახალ შედღვებილს დოზე ჩხუბობდნენ, ეს კიდევ მესმის; აქ მიზეზია ჩხუბისა, ამიტომ-რომ ახალი შედღვებილი დო, უნდა მოგახსენოთ, უჩივო არ არის და რძალი დედამთილს აგრე რიგად არაფერს დაუთმობდა, მაგრამ რა ახჩხუბებთ «დრუჟინას» და გორის «სობრანიეს»? რაც ახჩხუბებთ, აი მოგახსენებთ, მაგრამ ჯოტა გლახა ჭრიაშვილივით სიტყვა უნდა გაგიგრძელოთ და მომიტევოთ; იმედი მაქვს, მკითხველი ისე არ გამიწყრება, როგორც ზოგიერთი ენა-ქავილა «დრუჟინელები» გაუწყრნენ გორის საზოგადოებასა. მაშ დავიწყოთ:

როდესაც გავიგეთ, რომ გორში იდგება ქართველ ჯარის დრუჟინაო, გვესიამოვნა. მიზეზი სიამოვნებისა ცხადია ყველასათვის. როდესაც გავიგეთ, რომ დრუჟინაში ბლომად არიან ქართველი აფიცრებიო, ღვთის წინაშე, ეს უფრო გვიამა და გვესიამოვნა. რატომაც არ უნდა გვესიამოვნებოდა? შეგვემატებოდა ახალი ხალხი, ჩვენი თანამომმენი, რომელთაც ასე თუ ისე ჩვენი ჭირი ჭირად მიაჩნიათ და ლხინი—ლხინად. მართლადაც-და ანგარიშში არ მოვტყუვდით, მაგრამ წყალს მდინარედამ ისე როგორ ამოასხამ, რომ ცოტა რამ სიმღვრივე არ ამოჰყვეს, ან, რუსულის ანდაზისა არ იყოს, ამდენს ხალხში როგორ შეიძლებოდა, რომ ხინჯიანი არავინ ყოფილიყო.

ავერ დადგა შემოდგომა; ზედ მოჰყვა დიდი ღამეები; დიდს ღამეებს შექცევა-გართობანი: საღამოებით, ტანცით მანცებით და სხვანი. ჩვენს გორის «სობრანიაშიაც» დაიწყო გართობა; ტანცაობაში აფიცრებს წინ ვინ გადაუდგება, უპირატესობა ამათ დაიჭირეს; ტანცების გამგებლობაც (დირიჟორობა) ამათ ხელში გახლდათ. ტანც-მეისტერმა დრუჟინის აფიცერმა, ბ-ნმა ბ., ვერ იკარგა, დაიწუნეს ერთს საღამოზე, ჩამოართვეს ეს საპატიო თანამდებობა და თვით «სობრანიის» ნაცვალმა იკისრა. ამ დეკემბრის 13-ში სატანცო საღამოზე ადრინდელმა დაწუნებულმა ბატონმა კიდევ იკისრა ტანც-მეისტერობა, თუმცა-კი, თუ თავ-მოყვარეობა ჰქონდა, არ უნდა ეკისრნა, რადგანაც ერთხელ იყო დათხოვნილი. საზოგადოდ იმაზე ემდურებოდნენ, რომ არ იცის წესებიო, ხმა არ ისმისო, ერთსა და იმავე «დამას» ჩააცივდება ხოლმე და ბევრი სხვა.

ცამეტ დეკემბერსაც ეს წუნი მოიმიზეზეს მოცეკვავეთა; სთხოვეს; თხოვნას თან ცოტაოდენი უსიამოვნობა მოჰყვა. ეს ცოტაოდენი უსიამოვნობა მიიღეს მუნდირისა და სამხედრო პატივის შეურაცხყოფად და ჩამოვარდა ალიაქოთი.

მიიღეს-მეთქი? კი არ მიიღეს, მიიღო ერთმა ქართველმა აფიცერმა ჩ.; დანარჩენი ქართველმა, და ვერაფერით ვეღარ შეიოკეთ. ჩააწერინეს საჩივარი ქართველ ყმაწვილებზედ, რომელთაც ვითომ

პატივი შეურაცხჰყვეს. მაგრამ აქ ცოტას ხანს შევდგები და შორი-შორს სიტყვას მოგახსენებთ.

როდესაც «სობრანიის» ახალს ნაცვლებს ირჩევდნენ, გორის საზოგადოებამ თითქმის ერთ-ხმად აირჩია ნაცვლად დრუჟინის უფროსი, ბ-ნი კამტალინსკი; შემდეგ აფიცრებმა ითხოვეს, რომ პატივი გვეცით და საწევრო ფული ნაწილ-ნაწილად შემოგვატანინეთო. საზოგადო კრებამ «სობრანიისამა» ერთხმად, დიდის სიამოვნებით მიიღო მათი თხოვნა და პატივი სცა, რომ ნაწილ-ნაწილ შემოეტანათ ფული. წარმოიდგინეთ, იმ საზოგადოებას, რომელმაც ახლად მოსული კაცი, უცნობი, ერთხმად თავისას საზოგადო «სობრანიის» ნაცვლად აღმოარჩია; რომელმაც, თავის წესდების წინააღმდეგ, ნება მისცა ნაწილ-ნაწილ ფულის შემოტანისა აფიცრებს,—ამისთანა მოყვარულს საზოგადოებას შემოსწყრნენ და ამ უსაფუძვლო შემოწყრომით, ჩემის აზრით, დიდი შეურაცხყოფა მიაყენეს ჩვენს საზოგადოებასა. მართალია,—ამას არავინ იტყვის და არც არავის უთქვამს—ჩვენმა ქართველმა ყმაწვილებმა დაუშვეს, არ უნდა დაეთხოვნათ შუა ტანცაობის დროს «ტანც-მეისტერი», ძალიან შესცდნენ, მაგრამ ამათი დანაშაული ამის მეტი არ იყო, ამას არ გასცილებია, ბატონის ბ—სათვის არ უგინებიათ, არ უცემიათ, მძლავრი სიტყვა არ უთქვამთ, მხოლოდ,—კიდევ ვიმეორებთ,—უთხრეს: ცუდად ჰწინამძღვრობ ტანცაობასა და თავი დაანებეო. ამ დანაშაულობისათვის, თუ კი ეს მართლა მძიმე დანაშაულობად ჩაეთვლებათ მთქმელებს, «სობრანიის» საზოგადო კრებამ აღუკრძალა იმ ქართველ თავადიშვილებს, რომელნიც იმ ღამეს სტუმრად იყვნენ მოსულნი, «სობრანიეში» სიარული და ერთს წლამდის თვითონ აღუკრძალა სიარული. ამაზე მეტს სასჯელს რას დასდებდა საზოგადო კრება, ციხეში ვერავის ჩასვამდა, ვერ ჩამოახრჩობდა, ციმბირში ვერავის გაჰგზავნიდა, ერთი და მეორე. მაინც ვერაფერით ვერ შევიკერიეთ გულნაწყენი ქართველი აფიცერი, ბ-ნი ჩ... იმდენი ილაპარაკა, რომ გაწყვეტილება დაიბადა. მოგეხსენებათ, ენად მრავალმა აჯობაო ფეხად მავალსა. თავისი გაიტანა. ბ-ნი კამ—სკიმ ნაცვლობაზე ხელი აიღო და აფიცრებმა თავში გასახლეს ბილეთები. შემოუთვალეს «სობრანიეს»: რაც გვრგებათ საწევრო ფულში, მიიღეთო... გორის საზოგადო „სობრანიე" დუქანია რაღა! გაგვისწორდით?! ახა, ღმერთო! ჩვენი ერთი სიტყვა შეურაცხყოფაა და იმათი-კი არაფერი, მაგრამ რას იზამ, „ყამნი მეფობენ".

წარმოიდგინეთ, ჩვენს ქალებსაც-კი ეწყინათ ასეთი საქციელი მათი, ქალებსაც, რომელთაც ასე უყვართ აფიცრები

**Къ военнымъ такъ и льнутъ,**
**Потому что патріотки.**

რა ჰქნან მაშ, რომ არ შეიყვარონ. ასე გასინჯე, ვამბობთ, ქალებიც-კი შეურაცხყოფილნი დარჩნენ და ამბობენ: „შევრცხვეთ, თუ ჩვენ იმათს „კლუბში" გავიაროთო". კიდევ აასრულებენ თავიანთს მუქარას; ხომ მოგეხსენებათ: დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვეღარ დაიმაგრებსო.

# უცხოეთი

ბოლგარია. დღემდის ბოლგარიის საქმე თითქმის დავიწყებული იყო, რადგანაც ევროპა გართული იყო სხვა საქმეებით. ახლა-კი, როდესაც სახელმწიფოთა შორის განწყობილება ცოტათი არ იყოს მორბილდა და თითქო ყველას ნუგეშში მიეცა, რომ მშვიდობიანობა დარღვეული არ იქნებაო, ახლა, როგორც სჩანს, პატარა ბოლგარიის საქმემ ხელ-ახლად თავი ამოყო. როგორც გაზეთები გვაუწყებენ, სახელმწიფოები შეთანხმებულან იმის შესახებ, რომ ბოლგარიიდგან განაძევონ ფერდინანდი კობურგისა და იმის მაგიერად დასვან მთავარი მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისა. გაზეთი «Post»-ი მტკიცედ ამბობს, რომ პრინცი კობურგისა ამ მოკლე ხანში უნდა გადადგეს ტახტიდგან. აგრეთვე იუწყებიან, რომ სტამბოლში ოსმალეთის მინისტრებს თათბირი ჰქონით ბოლგარიის შესახებო.

ლონდონიდგან იუწყებიან, ვითომ რუსეთის და გერმანიის მოლაპარაკება ჰქონია ამავ საქმის გამო.

ავსტრია. გაზეთ «Jndep. Belge»-ის კორრესპონდენტს ამ დღეებში ლაპარაკი ჰქონია ერთ მაღალ-ხარისხოვან ავსტრიის მოღვაწესთან. ამ უკანასკნელს პირდაპირ უთქვამს კორრესპონდენტისათვის, რომ ავსტრია იმ დრომდე არ დამშვიდდება და არ დაწყნარდება, სანამ არ დარწმუნდება, რომ რუსეთი თავის საზღვრიდგან უკანვე წაიყვანს თავის ძლიერს მხედრობასა. დიპლომატიის სიტყვა ვერავის ვერ დაამშვიდებს, რადგანაც ცხადია, რომ რუსეთი კმაყოფილი არ არის დღევანდელის საქმეთა მსვლელობით, რის გამოისობით ადიჭურვას თოფ-იარაღით. იმასვე უცნობებია კორრესპონდენტისათვის, რომ ქალაქ ბროდაიდგან მოსულა ვენაში დეპუტაცია, რომელიც თხოულობდა შესაფერი ღონისძიება ეხმარათ ქალაქის დასაცავად მოულოდნელის თავს დასხმისაგან. თუმცა დიპლომატია ცდილობს ყოველივე ს..

---

დაუყვირა მოჯამაგირემ,—როცა თვალები წამოაჭყიტა.

— თითონ რომ არ ვარგიხარ, შენი ფეხები ვითვის რის მაქნისია. კამეჩები ცოდონი არიან-მეთქი.

— მერე შენ რა გეპრიანება?

— ის მეპრიანება, რომ არამია შენთვის ჯამაგირი. ვსთქვათ პატრონს ატყუებ და ატყუებ, ე პირუტყვი მაინც არ გენანება, ქრისტიანი არა ხარ, მაგათი ცოდო მაინც არა გწვავს!.. მიგილძვია საცოდავები წყლით ურემზედ, შიმშილით ფერდები ჩასცვივნიათ.

— მაშ არა და თავზედ დავისვამდი.

— დაისვამდი, მე ვიცი, მაგ ქეციანს თავზედ ბევრს-კი მოსძოვდნენ აი!.. ვერა ჰხედავ, ტყეში ბალახი მუხლამდეა! ფასი ხომ არ გაგივა გაგეშო პირი მოეტყუებინათ.

— გამეშო-რა მუქთი ფეხები მაქვს, მაგათ ძებნაში მერე სული ამომხდომოდა.

— აი შე უნამუსო! აქაო და არავინა მხედავსო, ნამუსის ქუდი აგიხდია და ლაფში გადაგიგდია. შენს ღმერთს რაღას ეუბნები! აქაო და კამეჩი პირუტყვია, შებრალება არ უნდა, თუნდაც სხვის ამანათი, სხვის მონაბარი არ იყოს!

— მერე შენ რაჲ ვისი ტიკი-ტომარა ხარ. შენი მოჯამაგირე ხომ არა ვარ.

— აი გაქრეს, გიორგიმ შენისთანა კაცი ახლოც არ მიიკაროს!!.. ჩემი რომ იყო, ცარიელ პურის ჭამის ფასადაც არ შეგინახავდი. ადექმეთქი!..

— დამეხსენ... შენ შენს წერას ხომ არ აუტანიხარ, რატომ ევრე არახუნებ. თუ ზურგი არა გქავა, შენ შენს გზაზედ წადი-მეთქი, თორემ...

— თორემ... მე ვიცი, ყურებზედ ხახვი არ დამაჭრა. ადე-მეთქი, ამ პირუტყვების ცოდვაში ნუ სდგები, თორემ ამ ჭიგოს ხომ ჰხედავ...

გიორგიმ ამის თქმაზე ფეხი კიდევ წაჰკრა. მოჯამაგირე გულზე მოვიდა. წამოუხტა ზეზე, გიორგის წინ აეტუზა, გულ-მკერდი გადმოუგდო და მიუშვირა, თითქო ეუბნებაო: აბა ეს მე და ეს შენ, დამკარ თუ კაცი ხარ და ქუდი გხურავსო.

გიორგის მოეწონა ამისთანა სითამამე მოჯამაგირისა, მაგრამ უკვირდა,—რის იმედითაო.

— რა ვქნაო, სთქვა გულში გიორგიმ: თუ ეს მართლა ვაჟკაცია, საქმეს არ უღალატებდა, პირუტყვს შეიბრალებდა და თუ ვაჟკაცი არ არის, რატომ ესე გაბედულად მომიშვირა გულ-მკერდი და თავ-მოწონებით ალვის ხესავით წინ გამემართაო.

— თუ კაცი ხარ და თითს დამაწებ!.. მაშინ ჰნახავ შენს სეირს, უთხრა გულ-მკერდ მოღერებულმა მოჯამაგირემ.

მუქარა იწყინა გიორგიმ. აღარც აცია, აღარც აცხელა, ეცა, წამოჰკრა სარმა და თუმცა ვერ დასცა, წაახარბაცა-კი და ცალი ხელი დააბჯენინა დედამიწაზედ. წამოუხტა ფიცხლავ მოჯამაგირე, დაეტაკა გიორგის და ჰკრა გულის პირში ხელი. გიორგი შეტოკდა და გადიზნიქა უკან.

— ბიჭოს!.. შენ აღარა ჰხუმრობ, დაუძახა გიორგიმ, ჭიგო ხელიდამ გააგდო და შეძიძგილავდნენ.

გიორგიმ ბევრი აღარ აცალა: ჰკრა მოგვერდი და გააკრა დედამიწას, როგორც შოთი თორნესა. წაქცეულს ხელიც არ დააკარა. მოჯამაგირემ დამარცხება ძალიან ითაკილა,—ისიც თავმოწონებული ბიჭი იყო—წამოხტა და ერთი ლაზათიანი სილა გაუშალა გიორგის უეცრად. როგორც თუ სილაო, მივარდა გიორგი, ამოიდო ქვეშ და იმდენი სცემა, რომ მოჯამაგირემ ხვეწნა დაუწყო.

— წადი, საცა შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავიწყდებაო, უთხრა გიორგიმ: და ღმერთს-კი არსად წაუხვალ ამ პირუტყვების ცოდვითაო.

თქმა არ უნდა, რომ გიორგისაგან გაბოროტებულმა მოჯამაგირემ თავისი ცემა შესჩივლა ომარაშვილსა.

— რადა გცემაო? ჰკითხა ომარაშვილმა.

— მაგდენს რად უდებ ურემსაო? ან საქონელი არ გეცოდება, ან შენი თავიო!.. ეგეც რომ არ იყოს, სხვასაც ხომ მაგდენს მოსთხოვენო; ვსთქვათ, შენ შეგიძლიან, სხვა მაინც არ გეცოდებაო. მომდგა ამაზედ და ჭიგო ზედ დამალეწა. შენც დედა და მამა საფლავში არ დაგიყენა. აქაოდა ჯამაგირს იძლევა, სულს ხომ არ ამართმევსო ადამიანსაო.

— ბიჭო-და მაგდენი არა გედო-რა ურემზე!

— ევა სთქვი-და!.. მეც ეგ არ მიკვირს, რა მეეჩხვენა იმ ოჯახ-დაქცეულსა! მე-კი ასე შემაქცია-და!..

ომარაშვილი გავლენიანი კაცი იყო სოფელში, ითაკილა, მოჯამაგირე როგორ გამილახა იმ გუშინდელმა ქვლინტმაო. წაიყვანა მოჯამაგირე და სოფლის სასამართლოში აჩივლა. თითონაც, რასაკვირველია, წაექომაგა

— მოწამე გყავსო? ჰკითხეს მოჯამაგირეს.

— ოთარაანთ გიორგის რა მოწამე უნდა? ღმერთმანი, იტყუებს-და!.. სთქვა ვილაცამა.

— მაგას-კი მართალს ამბობ, სთქვა ერთმა მოსამართლემ: ის ტყუილს არ იტყვის, პირიანი ბიჭია.

კვირა დღეს დაიბარეს გიორგი.

— მართლა სცემე? ჰკითხეს.

— მართლა ვცემე.

— რადაო?

გიორგიმ ყველაფერი უამბო.

— ბიჭო-და, შენ რა დავა გქონდა?

— ის დავა მქონდა, რომ მაგისთანა ნამუს ახდილ კაცისაგან ქვეყანაა დაღუპული. კაცი კაცს ვეღარ ჰნდობია. მაგის გამოისობით კარგს მოჯამაგირესაც სახელი აქვს გატეხილი. თვითონ ხომ ეძინა და ეძინა, კამეჩებიც მიეძო ურემზედ. იმათ აცოდავობამ დამწვა, რომ სხვა არა იყოს-რა.

თქვენი მტერი იყოს, მოსამართლეებს დღე დაადგათ. ომარაშვილის გულის მოგებაც უნდოდათ, ერთს სადილს მაინც გვაჭმევსო; ოთარაანთ ქვრივისაც ეშინოდათ, გუბერნატორამდის ივლისო. თუნდ ეგეც არ ყოფილიყო, გული გიორგისაკენ უწევდათ, თუმცა ცემა-კი ცემად ედგათ თვალ-წინ. არ იცოდნენ, გულს აჰყოლოდნენ, ოთარაანთ ქვრივის შიშსა, თუ ომარაშვილის ხათრსა.

ომარაშვილმა დაიხსნა გაჭირებისაგან სამართალი.

— მე ჩემ თავად მიპატიებია გიორგისათვის, სთქვა ამან: და სხვამ თავისი იცის. ყოჩაღ, ბიჭო, მე და ჩემმა ღმერთმა, ყოჩაღ!..

— უპატიებია!.. წამოიძახა გაჯავრებულმა მოჯამაგირემ: აი გამიჯდა გვერდებში!.. ზოგი ამ ჩემს დალურჯებულს ბეჭებსაცა ჰკითხე.

— რა ვკითხო, შე ოხერ-ტიალო! მე თუ მკითხავ, ევა ცოტაც არის შენთვის-და!..უპასუხა ომარაშვილმა.

— მე და ჩემმა ღმერთმა მართალს ამბობს, სთქვეს მოსამართლეებმა და დაითხოვეს შინ გამართლებული გიორგი.

— ბიჭო-და, ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი, ეუბნებოდა გიორგიზედ ერთი იქ დამსწრეთაგანი მეორეს, როცა სასამართლოდამ ხალხი დაიშალა და შინისაკენ წავიდ-წამოვიდა: რომ არ გაგონილა!..

— მე და ჩემმა ღმერთმა მაგის გულში ან ღვთის მადლი ჰტრიალებს, ან ერთი რაღაც უბედურება მაგის თავს,დაჰკრა კვერი მეორემ

— იმ დღევანდელი არ იყოს. ზექანაშვილის მოჯამაგირეს ურმით საფქვავი მოჰქონებოდა შინ. იმ ოჯახ დაქცეულს თავ-სუბუქად დაედო. კამეჩები თურმე ყელში ჰხრიალებდნენ, ისე წასჭეროდათ აპეურები. ოთარაანთ გიორგი გზად მოდენილა თურმე. დაუნახავს ეს ამბავი. ამხტარა ურემზედ, საპალნეები წაუწევ-წამოუწევია, გაუმართავს რიგზე ურემი, ერთი ლაზათიანი, შენი მოწონებული ჩაუთხლეშია მოჯამაგირისათვის თავში და უთქვამს:

— შე ადრე და მალე დასაბრმავებელო, ვერა ჰხედავდი, კამეჩები იჩხობოდნენ! რა პირით მიდიოდი პატრონთანაო.

— ახლა ჩვენში რომ ვიკითხოთ: რა დავა ჰქონდა?

— ეგა სთქვი და გაათავე. მეც ეგ არ მიკვირს. აკი ვამბობ, ეგ კაცი ან გიჟია, ან ერთი რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედ-მეთქი.

— დედაც ხომ მაგისთანა გადარეული და დამთხვეული ჰყავს. მამაც-კი—ღვთის წინაშე—ცოტა არ იყოს მოუსვენარი კაცი იყო. ეგეები იმანაც იცოდა.

— აი ამაზედ არის ნათქვამი: დედა ჰნახე, მამა ჰნახე, შვილი ისე გამონახეო. მაგათში ან დიდი ცოდო ჰტრიალებს, ან დიდი მადლი. აქ სხვა ნიშან-წყალია.

გიორგი რომ შინ მივიდა, ყველაფერი უამბო დედას. ოთარაანთ ქვრივს გაუკვირდა:

— დახე, მაგ ვირ-თაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათ!..

ილია ჭავჭავაძე

(შემდეგი იქნება)

პოლიტიკური განხეთქილება დაცხრის, მაგრამ ეს ამისი არა სჯერა რუსეთ. ავსტრი-უნგრიის მკვიდრნი დიდად აღშფოთებულნი არიან, და ეს გარემოება მეტად თავს-საზარია თვით ვენაში.

ინგლისი. ბერლინში დარწმუნებულნი არიან, რომ ლორდ ჩერჩილის მოგზაურობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამბობენ, რომ ჩერჩილს განზრახვა ჰქონდა რუსეთის მოურიგებოდა ინგლისის სასარგებლოდ საზღვაო ტარიფების და ავღანისტანის საზღვრის შესახებ. გერმანიის მთავრობა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ინგლისი მიემხრობოდა გერმანიის, ავსტრიის და იტალიის კავშირს, ძალიან შეწუხებულია ინგლისის ორ-პირობით.

ამას წინად დუბლინში დაუტუსაღებიათ ირლანდიელი დეპუტატი ლენი, რადგანაც ოთხ დეკემბერს წარმოუთქვამს სიტყვა და ამბოხების მოხდენა სდომებია. ლენის საქმის განხილვა გადაუდვიათ ერთის კვირით. ირლანდიელი აგიტატორი ვილფრიდ ბლენტი მოუყვანიათ გალვეში. ბლენტს მიჰგებებია დიდ-ძალი ხალხი. მიგებების დროს უწესოებაც მომხდარა, ასე რომ პოლიციაც ჩარეულა საქმეში და რამდენიმე კაცი დაუჭრიათ. ბლენტი დაუმწყვდევიათ.

ბელგია. ბელგიას იმ საშიშროების გამო, რომელსაც მოელის, განზრახვა აქვს ხელ-შეკრულობა ჩამოართვას მეზობელ სახელმწიფოებს (გერმანიასა და საფრანგეთს) იმის თაობაზე, რომ ნება მიეცეს იარაღით წინააღმდეგობა გაუწიოს იმ სახელმწიფოს, რომელიც ნეიტრალიტეტს დაარღვევს და ბელგიაში შეიყვანს თავის ჯარებს.

## წვრილი ამბები

—— ჩრდილო ამერიკაში გამოუანგარიშებიათ, ათის წლის განმავლობაში, რამდენი დაულევიათ ღვინო და არაყი და რა გავლენა ჰქონია მაგარ სასმელებს. 1860 წლიდამ 1870-მდე ხალხს დაუხარჯავს სასმელებზე სამ მილიარდს დოლარზე მეტი, დახოცილა სიმთვრალითა სამასი ათასი კაცი; დარიბთა თავშესაფარში შესულა ასი ათასი; ას ორმოც და ათი ათასზე მეტი ციხეში; ჩაუსვამთ; ორი ათასამდე კაცს თავი მოუკლავს; ორი ათასი დედაკაცი დაქვრივებულა და ერთი მილიონი ბავშვი დაობლებულა.

— ერთს ახალგაზრდა რომანისტს გვარად ბრეკოს დაუწერია რომანი „მორიელი“. ბრეკო პოლ ბურჟეს მეგობარია და ისეთისავე ნიჭით სწერს თითქმის, როგორც ალფონს დოდე და გი-დე მოპასანიო.

— ჩარლზ დილკს გამოუცხადებია ლიბერალთა წრეულებაზე, რომ მე კვლავ გავპირებ საპოლიტიკო სარბიელზე გამოვიდეო. გავიმართლებ თუ არა თავს ხასამართლოში, მაშინვე დავიწყებ საპოლიტიკო მოღვაწეობასაო.

— ამ დღეებში გარდაცვლილა სიღარიბეში ისპანიის ცნობილი რომანისტი ფერნანდეზ განზალეზი

— ისპანიის მცირე-წლოვან მეფეს ალფონს XIII მიუღია საჩუქრად ერთი ყუთი მეიროვანის სიგარებით. ეს სიგარებიო, იწერება თურმე ამ საჩუქრის გამგზავნელი მილიონების პატრონი, 15-20 წლის განმავლობაში მზადდებაო. გოხოვთ შეინახოთ ეს სიგარები იმ დრომდე, ვიდრე მეფე გაიზრდება და სიგარების წევას შეიძლებსო.

— ბრიტანიის მუზეუმში გაუმართავთ უდიდესი სამკითხველო გაზეთებისა და ჟურნალებისა. ამ სამკითხველოს გასამართავად 600,000 მანათი შეუწირავს ერთს ქვრივს.

— საფრანგეთის ერთს დეპარტამენტში შემდეგი შემთხვევა მომხდარა: ერთს ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ორის წლის შემდეგ ცოლი გარდაცვლია, შეჰყვარებია თავისი სიდედრი. სიდედრს უარი უთქვამს, შენ ვერ შეგირთავო. ყმაწვილს კაცს ვერ აუტანია ასეთი უარი და იქვე მოუკლავს რევოლვერით სიდედრი.

## დეპეშა

4 იანვარი

ბერლინი. რეიხსტაგს წარუდგინეს კანონ-პროექტი სოციალისტების თაობაზედ. ამ პროექტის ძალით სოციალისტები უნდა განდევნილ იქმნან გერმანიიდამ. განდევნა იმათი იმიტომ არის საჭიროო, ამბობს პროექტი, რომ სოციალისტები, რომელთაც დღევანდელის კანონის ძალით ერთის ადგილიდამ მეორე ადგილას განდევნიდნენ, ახალს საცხოვრებელ ალაგას კვლავ შეუდგებიან ხოლმე თავიანთ მავნებელს საქმესაო. ამას გარდა უნდა განიდევნოს კიდევ იმიტომ-რომ, ვინც უარ-ჰყოფს სახელმწიფოს და ამტკიცებს — სახელმწიფოს ნება არა აქვს არსებობისაო, ისინი არც თვით უნდა ეკუთვნოდნენ სახელმწიფოსაო. სოციალისტს განდევნიან სამშობლოდამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაბამი სასამართლო დაინახავს, რომ საჭიროა ზემოხსენებული ღონის-ძიება იქმნას მიღებული ამა-და-ამ სოციალისტის შესახებაო.

5 იანვარი

პარიჟი. პალატამ 265-ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 178 გამოაცხადა, რომ ვენდობი სამინისტროსაო. იმავე კრებაზედ ჩამოვარდა კამათობა შესახებ საქალაქო საბჭოს საქციელისა მაშინ, როცა ძველს პრეზიდენტსა სცვლიდნენ. ერთმა დეპუტატთაგანმა სთქვა, რომ საბჭო ცდილობდა საპოლიტიკო საქმეებში გარეულიყო და ჰქონიყო ზედ-მოქმედება პარლამენტზედ. ასე გასინჯეთ, ემუქრებოდა კიდეცა პარლამენტას წევრთა. შინაგან საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ ერთის მხრივ დეპუტატი უსაფუძვლოდ არა ჩივისო, მაგრამ საბჭოს უმრავლესობას თავის დღეში აზრად არა ჰქონია კომუნის აღდგენა. ყოველ შემთხვევაში მთავრობა მოახერხებს, რომ კანონს ყველანი პატივსა ცემდნენო.

პეტერბურგი. მოსკოვის გენერალ გუბერნატორმა ახალ-წელიწადი მიულოცა ხელმწიფე იმპერატორს. ამის პასუხად ხელმწიფე იმპერატორისაგან მოუვიდა უმაღლესი რესკრიპტი. რესკრიპტში სწერია — იმედია, მშვიდობიანობა, განგებისაგან ჩვენდა საკეთილდღეოდ მოვლინებული, ნებას მოგვცემს მდგომარე წელსაც და შემდეგაც შევწიროთ ყოველივე ძალი სახელმწიფოსი და ქვეშევრდომთა ძეთა მისთა შინად წარმატებასა ჩვენსა.

ბერლინი. როცა «წითელის ჯვარის» საზოგადოებათა ახალი წელიწადი მიულოცნიათ, იმპერატორს ვილჰელმს შეუთვლია რესკრიპტით: იმედია, გერმანიის საბედნიეროდ, ჯერ კიდევ დიდხანს არ მოვა ის დრო, როდესაც ეს საზოგადოებანი ვალდებულნი იქმნებიან შეუდგნენ თავიანთ მძიმე მოვალეობის ასრულებასაო.

პეტერბურგის ბირჟა 4 იანვარი.

| | მყიდველ-ნი | | გამყიდვე-ლნი | | გაყიდუ-ლნი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო | — | ,, | — | ,, | 9 | 15 |
| ტამოჟნის კუპონები | — | ,, | — | ,, | $183^{1}/_{2}$ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — | ,, | — | ,, | 1 | 34 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | ,, | — | ,, | $268^{3}/_{4}$ | |
| — მეორისა | — | ,, | — | ,, | 250 | |
| ვირავნობ. ფურცელნი | | | | | | |
| ტფილისის ბანკისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | » |
| » 2 » | $2^{1}/_{2}$ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2 — | $3^{1}/_{2}$ | » |
| » » 3 » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | 4 | » |
| მე-3 — | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | » |
| » 2 » | 7 | » |
| სუკი | 14 | » |
| ძროხის ხორცი | 8 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით — დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გაზზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამ. | გადის საათ. | გადის წამ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | | | | |
| | საღამოთი | | | | | საღამოთი | | | |
| | | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 5 | 8 | 7 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

## ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპია | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთ | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

## ВЪ 1888 ГОДУ

(ПЯТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

выходитъ въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ газеты литературной, общественной и политической.

Съ 12-го ноября 1887 г. „Новое Обозрѣніе“ выходитъ двумя изданіями, изъ которыхъ *первое*, вечернее, предназначено для Восточнаго Закавказья и сдается на вечерній поѣздъ желѣзной дороги, а *второе*, утреннее,—для гор. Тифлиса, Западнаго Закавказья и Россіи.

**Условія подписки**, съ пересылкою и доставкою: на годъ **10 р.**, на полгода—**6 р.**, на три мѣсяца—**3 р. 50 к.**, на одинъ мѣсяцъ—**1 р. 50 к.** За границу: на годъ—**17 р.**, на полгода—**9 р. 50 к.**, на три мѣсяца—**5 р.** (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

**Объявленія**: на 4-й страницѣ газеты по расчету **5 к.** за строку петита или за занимаемое ею мѣсто. На первой страницѣ—**15 к.** за такую-же строку.

Подписка и объявленія принимаются:

**ВЪ ТИФЛИСѢ: въ конторѣ газеты**, Головинскій проспектъ, домъ Читахова, № 12.

**ВЪ ОТДѢЛЕНІЯХЪ КОНТОРЫ:**

1) **ВЪ БАКУ**, **при аптекѣ Чишковскаго**, на углу Барятинской и Милютинской улицъ.

2) **ВЪ КУТАИСѢ при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе**, противъ бульвара, въ домѣ Г. Андроникова.

3) **ВЪ БАТУМѢ, при конторѣ М. С. Бетанова**, Набережная, домъ Ферадъ-Бега.

Иногородніе адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“**.

Въ этихъ отдѣленіяхъ подписка и объявленія принимаются **по редакціоннымъ цѣнамъ**, безъ всякой надбавки. Розничная продажа тоже производится безъ увеличенія платы, **по 5 коп.** за номеръ.

Редакторъ **М. А. Успенскій.**
Издатель кн. **З. Р. Тумановъ.**


Доз. цен. Тиф. 6 января, 1888 г. Типографія А. А. Михельсона, на Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე